

**რა შემთხვევაში გაიცემა ცნობა სამედიცინო საჭიროებების საფუძველზე?**

**Q1** რა ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო პირველადი ჯანდაცვის დონეზე, სტანდარტულ სამუშაო საათებში, სამედიცინო ცნობის გაცემის ორგანიზებისას?

R1. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს დოკუმენტირებული და ნათლად ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეთ სტანდარტულ სამუშაო საათებში სამედიცინო ცნობების გაცემის წესი.

R2. არასასურველია სამედიცინო ცნობების შევსება პაციენტთა ამბულატორიული მიღების დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სასწრაფოდ საჭიროებს სხვა სამედიცინო დაწესებულებაში რეფერალს.

R3. ზოგადად, სამედიცინო ცნობების გაცემა ხელმისაწვდომი უნდა იყოს პჯდ ცენტრში რეგისტრირებული ყველა პაციენტისთვის, ექიმის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისი კლინიკური საჭიროების ან პაციენტის მოთხოვნის არსებობის დროს.

R4. პჯდ დაწესებულებებში, სტანდარტულ სამუშაო საათებში ექიმის მიერ სამედიცინო ცნობების გაცემის წესის ჩამოყალიბებისას, საჭიროა განხილულ იქნას სპეციფიკური საკითხები, როგორცაა:

- დაწესებულების ტიპი
- ფაქტორები, რომელიც განსაზღვრავს რამდენად მიზანშეწონილია სამედიცინო ცნობის გაცემა კონკრეტულ შემთხვევაში და რამდენად შეესაბამება ის საქართველოს კანონმდებლობას.
- შესაბამის გეოგრაფიულ არეალში არსებული სხვა სამედიცინო სამსახურები (მაგ. სასწრაფო გადაუდებელი დახმარების შესამდებლობა, სამედიცინო/სოციალური მომსახურების სხვა სამსახურები).
- ინფორმირებულია თუ არა მოსახლეობა სამედიცინო ცნობების პროცედურასთან დაკავშირებით.
- კლინიკური პრობლემ(ებ)ის ტიპ(ებ)ი.
- ოჯახის ექიმმა/უბნის ექიმმა საჭიროა აღწეროს პაციენტის მდგომარეობა და დაასაბუთოს, რატომ იყო აუცილებელი პაციენტის მიმართვა სხვა სამედიცინო დაწესებულებაში და/ან რამდენად შეესაბამება ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ სამედიცინო ცნობის გაცემასთან წარმოდგენილ მოთხოვნას.

R5. ნებისმიერი სხვა სახის ცნობა, რომლის გაცემის წესს არ ადგენს ჯანდაცვის მოქმედი კანონმდებლობა, გაიცემა ფიზიკური/იურიდიული პირის სურვილის შესაბამისად მას შემდეგ, როდესაც ნათლად იქნება ჩამოყალიბებული ცნობის გაცემის დანიშნულება და მოთხოვნები.

---

ცნობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წარმოდგენილი მოთხოვნები არ აღემატება ოჯახის/უბნის ექიმისა და სამედიცინო დაწესებულების კომპეტენციებს.

---

R6. პიროვნების იდენტიფიცირების მიზნით პაციენტმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რითაც დადგინდება დაწესებულების/ექიმის კონტიგენტის სიაში მისი არსებობა და აგრეთვე, სხვა დოკუმენტ(ებ)ი, თუკი ეს უკანასკნელი გათვალისწინებულია კონკრეტული სამედიცინო ცნობის გაცემის წესში.

---

R7. სამედიცინო დაწესებულება უნდა ფლობდეს სხვა ადგილობრივი სამსახურების საკონტაქტო ინფორმაციას (მაგ: სასწრაფო დახმარების განყოფილება, პალიატიური ზრუნვის სამსახური, სოციალური სააგენტო, ფსიქიატრიული სამსახური, ჰოსპიტალური მომსახურების მიმწოდებლები, სოციალური დახმარების სერვისები და სხვ.) იმისათვის, რომ შესაბამის შემთხვევებში სწორად მოხდეს პაციენტის გადამისამართება და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

---

R8. სამედიცინო ცნობა შეიძლება მოითხოვოს:

- პაციენტმა;
  - მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა;
  - ნებისმიერმა პირმა, პაციენტის თანხმობით;
  - სხვა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელმა, პაციენტის მასთან მიმართვის/გაგზავნის შემთხვევაში;
  - სხვა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირმა, რომელსაც ცნობა მიეწოდება ექიმის გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში და დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.
- 

R9. სამედიცინო ცნობის გაცემისას ექიმი/მიმღები რეგისტრატორი/ექთანი სვამს შეკითხვებს, რომლებზეც აუცილებელია პასუხის გაცემა:

- პიროვნების სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ადგილმდებარეობა და საკონტაქტო დეტალები);
  - რისთვის ესაჭიროება სამედიცინო ცნობა;
  - საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.
- 

R10. პაციენტი უნდა იყოს ინფორმირებული ზოგადსაექიმო პრაქტიკის ექიმის მიერ სამედიცინო ცნობის გაცემის პროცედურის თაობაზე და დაიცვას ის.

---

R11. საჭიროა პაციენტის ინფორმირება სამედიცინო ცნობის გაცემის სავარაუდო დროსთან დაკავშირებით. გადავადების შემთხვევაში, მას უნდა განემარტოს

---

გადავადების მიზეზი.

- R12. ყველა სახის ცნობა, რომლის სამედიცინო საჭიროება და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მოცულობა/მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის დადგენილი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ და/ან გაცივმა პაციენტის/კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შესაბამისად, გაცივმა დაწესებულების მიერ ცნობის გაცემისათვის დადგენილი საფასურის შესაბამისად.

**Q2 რა შემთხვევაში გაცივმა ცნობა სამედიცინო საჭიროებების საფუძველზე?**

- R13.
- როდესაც პაციენტის მიმართვა ინიცირებულია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ.
  - როდესაც პაციენტი იგზავნება სხვა მიმწოდებელთან/ექთანთან/სოციალურ მუშაკთან.
  - როდესაც პაციენტი იგზავნება სხვა ექიმთან/სპაციალისტთან/სხვა კლინიკაში/საავადმყოფოში.

**Q3 რა დროს არ არის აუცილებელი სამედიცინო ცნობების გაცემა?**

- R14. სამედიცინო ცნობების გაცემა არ არის აუცილებელი შემდეგ შემთხვევებში:
- თუკი პაციენტი/კანონიერი წარმომადგენელი, მკაფიო სამედიცინო ჩვენების გარეშე, ითხოვს ცნობის სასწრაფოდ გაცემას და ექიმის სამუშაო დრო კი შეზღუდულია.
  - ექიმი ვერ ასაბუთებს, თუ რატომ იყო აუცილებელი პაციენტის მიმართვა სხვა სამედიცინო დაწესებულებაში
  - გაურკვეველია რა ტიპის ინფორმაციის ასახვას ითხოვს ფიზიკური/იურიდიული პირის, რის გამოც რთულდება შესაბამისი ცნობის გაცემა.

**Q4 ინფორმაცია პაციენტისთვის**

საჭიროა პაციენტმა იცოდეს:

- სამედიცინო ცნობის მიღების მიზნით ექიმს უნდა მიაწოდოს დეტალური და სრული ინფორმაცია ცნობის ადრესატისა და სამედიცინო შემოწმების მოთხოვნ(ებ)ის შესახებ, რათა მან სწორად შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ხარისხიანად შეავსოს სამედიცინო ცნობა.
- ექიმი არ არის ვალდებული გასცეს ცნობები დაუყოვნებლივ, პაციენტის მოთხოვნისთანავე, თუ ცნობის გაცემა არ არის განპირობებული გადაუდებელი სამედიცინო საჭიროებით.
- ცნობების წარმოება არ შეიძლება ხდებოდეს პაციენტ(ებ)ის სამედიცინო მომსახურებისათვის განკუთვნილი დროის ხარჯზე, ვინაიდან ეს

---

აფერხებს ზოგადად, პაციენტების სამედიცინო მომსახურების პროცესს. ამდენად, ექიმს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება ეკრძალება პაციენტთა მიღების საათებში.

- პაციენტი არ არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება სამედიცინო ცნობის შევსების შესახებ, არამედ ამ გადაწყვეტილებას იღებს ექიმი პაციენტის მდგომარეობის და მოთხოვნის შეფასების საფუძველზე.
  - ექიმი აცნობებს პაციენტს, დაახლოებით დროის რა შუალედში შეძლებს ის სამედიცინო ცნობის გაფორმებას და გაცემას.
  - ყველა სახის ცნობა, რომლის სამედიცინო საჭიროება და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მოცულობა/მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის დადგენილი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ და/ან გაიცემა პაციენტის/კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შესაბამისად, გაიცემა დაწესებულების მიერ ცნობის გაცემისათვის დადგენილი საფასურის შესაბამისად.
  - სამედიცინო ცნობის გაცემის პროცედურისა და/ან სამედიცინო მომსახურების თაობაზე არგუმენტირებული პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში, პაციენტმა უნდა მიმართოს ადმინისტრაციას, რომელიც განიხილავს ამ კონკრეტულ შემთხვევას და პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით პაციენტს მიაწოდებს დასაბუთებულ განმარტებას.
-